სტუ-ს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დარგობრივი კომისიის

შეფასების შედეგები

უცხოური ენების დეპარტამენტი

დამტკიცებულია დარგობრივი კომისიის სხდომაზე ოქმი #4. 24 მაისი, 2024 წ.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კრიტერიუმები (კომპონენტები)	**სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება, რეკომენდაციები**	
პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები		
	ანალიზი	
	შეფასება	დადებითი/უარყოფითი
	რეკომენდაციები	
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები		
	ანალიზი	
	შეფასება	დადებითი/უარყოფითი
	რეკომენდაციები	
უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები		
	ანალიზი	
	შეფასება	დადებითი/უარყოფითი
	რეკომენდაციები	
პატენტები		
	ანალიზი	
	შეფასება	დადებითი/უარყოფითი
	რეკომენდაციები	
ბეჭდური/ელექტრონული პროდუქციის გამოცემა საქართველოში (მონოგრაფიები, წიგნები, სახელმძღვანელოები, კრებულები, სამეცნიერო სტატიები)		
ლომსაძე ნინო, ბოჭორიშვილი ნინო სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტის თავისებურებანი. თეორიული სახელმძღვანელო. ISBN 978-620-6-17840-8 Republic of Moldova-ის გამომცემლობა, 115 გვ.	ნაშრომში წარმოდგენილია სამეცნიერო ტექნიკური ტექსტი, ტექსტის ფუნქციონალური ტიპები. სამეცნიერო ტექნიკური ტექსტის სირთულეები და პრობლემატიკა. ასევე განხილულია სამეცნიერო - ტექნიკური ტექსტი, ტექსტის ლინგვისტიკის ჭრილში.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	
რუსუდან გოცირიძე Coronavirus Pandemic and English-Language Neologisms, Scripta Manent, # 1 (55) 2023, ISSN 1987-7390, საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გვ. 13-16 (4 გვერდი).	სტატია ეძღვნება კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებულ ინგლისურენოვან ნეოლოგიზმებს. ლექსიკოლოგიის განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე დიდი ინტერესი იკვეთება ნეოლოგიზმების - ახალი ლექსემებისა და ფრაზების შესწავლისადმი. ნეოლოგიური ნომინაცია არის ადამიანის საქმიანობის სფერო, რომელიც საზოგადოების მსოფლმხედველობაში მიმდინარე ენობრივი ცვლილებების გაგებასთან დაკავშირებული შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას იძლევა. კორონა ვირუსის პანდემიის შედეგად	

	გამოწვეულ საზოგადოების მძაფრ ფსიქოლოგიურ რეაქციას მოჰყვა ახალ რეალობასთან დაკავშირებული ლექსიკური ინოვაციების „ცუნამი“. კორონა ვირუსის პერიოდის ინგლისურენოვან ნეოლოგიზმებში გადმოცემულია ადამიანის დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენებთან, რაც აისახება ირონიით, სარკაზმით, ზოგჯერ იუმორითაც კი შიშისგან თავის დაღწევის მცდელობაში.
	შეფასება: დადებითი
	რეკომენდაციები
ბერიშვილი მირანდა როგორ მოვემზადოთ მასწავლებლის გამოცდისათვის. (ტესტების კრებული, ინგლისური ენა). (ჩანაწერი თან ერთვის). თბ., გამოცდების და შეფასების ეროვნული ცენტრი. 2023 წ. 28 გვ.	კრებულის დანიშნულებაა დაწყებითი, საბაზო და საშუალო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგებს და მაძიებლებს გააცნოს საგნობრივი გამოცდის მოთხოვნები და საგამოცდო პროგრამა. კრებულში ასევე მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები მოსმენის, კითხვის, წერის და ლაპარაკის დავალებებთან დაკავშირებით. მოცემულია ასევე ტესტის ერთი ნიმუში. კრებულში მოცემულია საგამოცდო ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება; დავალებების დეტალური აღწერა და რეკომენდაციები; თხზულების შეფასების სქემა; ტესტური დავალებების ნიმუშები; და საგამოცდო ტესტის ნიმუში, მოსმენის დავალების ჩანაწერით და პასუხებით. ტესტი შედგება 9 დავალებისაგან, ლაპარაკის დავალების ჩათვლით. ტესტი ამოწმებს ოთხივე ენობრივ უნარს: მოსმენას, კითხვას, წერას და ლაპარაკს. ტესტის მაქსიმალური ქულაა 90.
	შეფასება: დადებითი
	რეკომენდაციები
ნუგზარ სიხარულიძე სოციო ფუნქციონალური კლასი და ნეოლოგიზმთა მდგრადობა. თბ., სტუ. ჟურნალი ,,განათლება“ №3 (42) ISSN 2346-8300	ენობრივი სისტემის ფუნქციონირებას კომუნიკაციის პეოცესში გააჩნია მკვეთრად გამოხატული სოციალური მხარე. ეს შეიძლება გაერთიანებული იყოს ხუთ სოციოფუნქციონალურ კლასში: სამეცნიერო, საწარმოო, ტექნიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამხედრო. სამეცნიერო სოციოფუნქციონალურ კლასს შეადგენენ ახლად წარმოებული სიტყვები რომლებიც ასახავენ მეცნიერების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე საქმიანობის შედეგებს იქნება ეს მცნებები, ნივთიერებები, ელემენტები, პროცესები თუ სხვა. მაგ: antibiosis N. – An association of organisms which results in injury to one of them. საწარმოო-ტექნიკურ სოციოფუნქციონალურ კლასს წარმოადგენენ ნეოლოგიზმები რომლებიც დაკავშირებულია ტექნიკური და საწარმოო მოწყობილობის, აპარატურის, დანადგარებისა და ამ სფეროსათვის დამახასიათებელი მრავალი სიახლის შექმნასთან. მაგ: defroster N. – a device for keeping away frost, or for melting ice, as on airplanes, automobile windshields. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სოციოფუნქციონალურ კლასს განეკუთვნებიან ნეოლოგიზმები რომლებიც სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, სოციალურ მოვლენებსა და პროცესებს შეადგენენ.მაგ: welfarism N. – The policies of a welfare state, autarky . ყოფითი ლექსიკური ნეოლოგიზმები. მაგ: grinder N. – A large sandwich. სამხედრო ლექსიკის სოციოფუნქციონალური კლასი განისაზღვრება ამ სფეროში მიმდინარე მოვლენებით რომლებიც

	აისახება ახალ ლექსიკურ ერთეულებში. მაგ: bake N. – A small piloted rocket-bomb.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	
თამარ მებუკე Mythical Method as a Structuring Principle in T.S. Eliot's "The Waste Land." In Proceedings of X International Conference On American Studies. Akaki Tsereteli State University, Kutaisi (in print)	სტატია ეძღვნება თ.ს. ელიოტის პოემის მთავარ თემას - ბერწი მიწიდან გამოსავლის ძიებას, თანამედროვე სამყაროს სიმბოლოს, რომელშიც ელიოტი დიდწილად ეყრდნობა მსოფლიო მითოლოგიის შესწავლას. მითოლოგიური აზროვნება განიხილება როგორც სიმბოლური ენა, რომელსაც ადამიანი იყენებს გარე სამყაროს, საზოგადოების და საკუთარი თავის კლასიფიკაციის, მოდელირებისა და ინტერპრეტაციისთვის. როგორც ლიტერატურული ფენომენი, მითი განიხილება როგორც განზოგადებული ნიმუში, რომელიც აკონტროლებს ნარატიულ დისკურსს, და რომელსაც ემყარება მრავალი სხვადასხვა სიუჟეტი და პერსონაჟი. მითიური მეთოდი საშუალებას აძლევს ელიოტს გააერთიანოს წარსული და აწმყო და აჩვენოს კულტურული ტრადიციის უწყვეტობა მრავალი სიმბოლოების, მითების, ლეგენდის, ალუზიებისა და ციტატების მეშვეობით, რომლებიც მიუთითებს კაცობრიობის ერთიანობაზე საერთო არსებითი, მარადიული ღირებულებებით, სათნოებითა და მანკიერებებით.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	
თამარ მებუკე Mythical Method as a Structuring Principle in T.S. Eliot's "The Waste Land." In Proceedings of X International Conference On American Studies. Akaki Tsereteli State University, Kutaisi (in print)	ნაშრომი მოხაზავს ელექტრონული მხატვრული ლიტერატურის ევოლუციის პრინციპებს პირველი ჰიპერტექსტებიდან, ქსელში არსებული კომპოზიციის საშუალებებით შექმნილ სინკრეტულ ფორმებამდე, რომლებიც, როგორც ჩემი კვლევის შედეგად აღმოჩნდა, შემდეგ იყოფა ქვეკლასებად და განასხვავებენ ახალ პლატფორმაზე შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, და იმ ნაწარმოებებს, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა სემიოტიკური სისტემების ერთობლიობას. სტატია ასახავს ჩემ კონცეპციას ელექტრონული მხატვრული ლიტერატურის არსის და განვითარების შესახებ. დაწერილ ტრადიციულ სტილის მიხედვით, პირველ ჰიპერტექსტებში კომპიუტერის ეკრანი გამოიყენებოდა როგორც წიგნის გვერდი. ეს ტექსტები წარმოადგენდნენ ერგოდიული ლიტერატურის ქვეკატეგორიას, რომელიც იყო ორგანიზებული როგორც კვანძებისა და მათ შორის კავშირების ქსელი, და სთავაზობდა მრავალფეროვან გამოსახულებებს მათი მნიშვნელობისთვის. უკუკავშირის კვანძი, არაწრფიობა, ინტერაქტიულობა წარმოადგენენ ჰიპერტექსტების ძირითად თვისებებს დროისადმი არაერთგვაროვან მიდგომასთან ერთად, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლის ინტერფეისს, და აძლევს მკითხველს შესაძლებლობას დააკავშიროს თემატურად დაკავშირებული ეპიზოდები ქრონოტოპის შეცვლის მეშვეობით.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	
რუსუდან გოცირიძე Metaphors Related to Corona Virus Pandemic, Scripta Manent, # 1 (55) 2023, ISSN 1987-7390,	ახალი კორონავირუსის პანდემია, რომელიც 2019 წლის დეკემბერში დაიწყო, მნიშვნელოვან მოვლენად იქცა არა მხოლოდ სოციალური, არამედ ლინგვისტური, და აქედან	

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გვ. 16-20 (4 გვერდი)	გამომდინარე, თანამედროვე დისკურსის თვალსაზრისითაც. კოვიდ 19-ის გავრცელებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიოს ენობრივ სურათზე და გამოიწვია ცვლილებები მეტყველებაში. საზოგადოებაში მომხდარმა ზემოაღნიშნულმა ცვლილებებმა კი გააჩინა „კორონავირუსის" კონცეპტის შესწავლის ინტერესი. სტატიაში გაანალიზებული და განხილულია კორონა ვირუსთან დაკავშირებული ინგლისურენოვანი მეტაფორები. გაანალიზებული მეტაფორული მოდელები კიდევ ერთხელ ადასტურებს მეტაფორიზაციის პროცესის ანთროპოცენტრულ ხასიათს და ასახავს უარყოფით დამოკიდებულებას მიმდინარე მოვლენებისადმი.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	
რუსუდან გოცირიძე Capabilities of Moodle in Organizing Distance Learning Courses, Scripta Manent, # 2 (56) 2023, ISSN 1987-7390, საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, (4 გვერდი - იბეჭდება)	თანამედროვე განათლების სისტემის ერთ-ერთი ამოცანა მუდმივად ცვალებად სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან სტუდენტის ადაპტაციის უნარის გამომუშავებაა. განათლება, როგორც ნებისმიერი საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორი, უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოების ყველა ცვლილებას, იყოს მოქნილი და კონკურენტუნარიანი. საგანმანათლებლო დაწესებულების მენეჯმენტის მიზანი არსებულ პირობებში არა მხოლოდ ცვლილებების გათვალისწინება, არამედ ამ ცვლილებებისთვის ფეხის აწყობაც უნდა გახდეს, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებსა და სტუდენტებს უპასუხონ დროის მოთხოვნებს და მიაღწიონ წარმატებას. დისტანციური სწავლების ორგანიზებისთვის აუცილებელია შეიქმნას სწავლების ისეთი სიმბიოზი, რომელიც სინერგიული ეფექტის მიღწევის საშუალებას მოგვცემს. ინგლისური ენის დისტანციურად სწავლებისას ამის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა Moodle სისტემა, რომელიც არა მარტო დამოუკიდებელი მუშაობის უნარის, არამედ პროფესიული ცოდნის მიღებისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების გააქტიურების ეფექტური საშუალებაც.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	
ნინო ლომსაძე, ნინო ბოჭორიშვილი Overview of the Educational system during the pandemic" IRCELT 2023, ISSN: 2298-0180 e-ISSN: 2587-472 შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი.	სტატია მიმოიხილავს იმ მნიშვნელოვან გამოწვევებს, რომლებიც განათლების სისტემას შეექმნა პანდემიის დროს და განიხილავს კოვიდ 19-ის პანდემიის პერიოდის ზოგიერთ ასპექტს. დისტანციურმა განათლებამ შეცვალა სინქრონული სწავლა მრავალი სტუდენტისა და მასწავლებლისთვის პანდემიის დროს. თუმცა, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ დარწმუნებულები დისტანციური სწავლების გრძელვადიან ეფექტში და იძლევა თუ არა ის განათლების იგივე მნიშვნელობას, როგორც საკლასო ოთახში პირისპირ სწავლა. დისტანციური სწავლება პრაქტიკაში შედარებით ნაკლებად გამოცდილია. თუმცა შექმნილმა გარემოებებმა და ვითარებამ გვაიძულა სწრაფად გვემოქმედა და საჭირო გახდა ამ მეთოდით სწავლების განხორციელება. თუმცა შედეგები მაინც ბუნდოვანია.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	

მარიამ ქათამაძე, ციური დეკანოზიშვილი „სამეცნიერო-ტექნიკურ ტექსტებში ტერმინების თარგმანის პრობლემებისა და სიტყვარის როლის შესახებ (ინგლისური ენის მასალის საფუძველზე)"; Scripta Manent N 2(56)2023; ISSN 1987-7390, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 3 გვერდი.	ტექნიკურ და სამეცნიერო ტექსტებში ტერმინოლოგიის თარგმანი ტექნიკური მთარგმნელების ერთ-ერთი უმთავრესი და ურთულესი ამოცანაა. გასათვალისწინებელია ასევე, რომ საბჭოთა პერიოდში საქართველოში ტექნიკურ დარგებში ფართოდ გამოიყენებოდა რუსული ტერმინოლოგია და დოკუმენტების დიდი ნაწილი რუსულად იყო შედგენილი. დღეს კი მრავალრიცხოვანი ელექტრონული ლექსიკონების, მთარგმნელობითი კომპიუტერული პროგრამების (მაგ., SDL Trados) სულ უფრო ფართოდ გამოყენების მიუხედავად, მრავალი დარგის ტერმინების ზუსტი და არაორაზროვანი თარგმანი კვლავ გამოწვევად რჩება, რომლის გადაწყვეტის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზა მთარგმნელების მიერ შესაბამისი სიტყვარების შედგენაა.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	
რუსუდან თაბუკაშვილი, თინათინ ფურცელაძე „გენდერული კვლევების დასაწყისი. ენა და სქესი. `ქალთა ენები˜ შცრიპტა მანენტ. N 1(55) 20123 გვ. 20-27. IშN 1987-7390. UDK(უაკ)81+82.შ-41 თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტატიაში განხილულია გენდერის კატეგორიის მეცნიერული კვლევის ეტაპები, კერძოდ, მისი საწყისი ეტაპი, მისი თავისებურებები და მახასიათებლები, სადაც ,,გენდერული" აღარ გულისხმობს ბიოლოგიურ ასპექტებს, იგი სქესის სოციო-კულტურულ განზომილებებზე მიგვითითებს. ბიოლოგიური სქესის გენდერული კვლევა სოციო-ლინგვისტიკაში გასული საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე აქტიურდება. თავ-დაპირველი გენდერული მიმართულების სოციოლინგვისტუ-რი კვლევები ხშირად წინააღმდეგობრივი იყო, რის მიზეზადაც დასახელებულია ავტორების დამოკიდებულება განსახი-ლველი პრობლემისადმი, მათი სუბიექტური შეხედულებები გენდერსა და სქესზე. სტატიაში ყურადღება ეთმობა ლაბოვის, მაუთნერის, ესპერსენის, კეისა და ლაკოფის შრომების მიმოხილვას.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	
რუსუდან თაბუკაშვილი, თინათინ ფურცელაძე გენდერული თეორიები. ბიოლოგიური სქესი და გენდერი - ცნებათა სიმბიოზური წყვილი და მიმართებები სტერეოტიპებთან. შცრიპტა მანენტ. N 2(56) 20123 გვ. 17-22. IშN 1987-7390. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ნაშრომში განიხილება გენდერული თეორიები, რომლებმაც გასული საუკუნის 60-ანი წლების ბოლოს შექმნეს საფუძველი, რომ სქესის, როგორც ბუნებრივი ბოძებულობის ნაცვლად, სოციალური მეცნიერებების დაკვირვებისა და დისკურსის ცენტრში მოქცეულიყო სქესის, როგორც სოციალური და კულტურული კონსტრუქტის, სქესის იდენტობის _ გენდერის კვლევას.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	
რუსუდან თაბუკაშვილი, თინათინ ფურცელაძე ლინგვისტური ფარდობითობის თეორია (,,სეპირ-უორფის ჰიპოთეზა'') და გენდერი შცრიპტა მანენტ. N 2(56) 20123 გვ. 23-26. ISSN 1987-7390. UDK(უაკ)81+82.შ-41 თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ნაშრომში წარმოდგენილი გენდერთან დაკავშირებული მაგალითების ლინგვისტური ფარდობითობის თეორიასთან კონტექსტში ანალიზის შედეგად ცხადი გახდა, რომ ენას აქვს გავლენა მსოფლხედვასა და სამყაროს სურათის აღქმაზე. ამის შედეგად ადამიანი ბავშვობიდანვე იძენს დომინანტური სამყა-როს სურათის ასპექტებს, რომლის თანახმადაც, მასკულინუმი პირველადია და შესაბამისად, მაღალი სტატუსის/რანგის მატარებელი, ვიდრე ფემინინუმი.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	

<table>
<tr>
<td>**ია ბურდული**
კრებული: *ქართული ტოლერანტობა - გუშინ, დღეს ISBN 978-9941-8-5899-4, UDC316.647(479.22), თბილისი* 2023, (253გვერდი) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,საინჟინრო ეკონომიკის მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სტატიის ავტორი: ია ბურდული - „დამოუკიდებლობა, ტოლერანტობა და იუმორი“ - ანტიომის რომანისტის ერიხ მარია რემარკის ცხოვრების კრედო და თანამედროვე სამყარო</td>
<td>გერმანელი მწერლის ერიხ მარია რემარკის ნაწარმოებები ომის საშინელი ტკივილითა და პაციფიზმის სულისკვეთებით არის სავსე. ომი და ძალადობა კი, როგორც 20-ე საუკუნეში, ასევე დღესაც აქტუალურ და მწვავე საკითხად რჩება. რომანში: დასავლეთში ახალი არაფერია.
მწერალმა პირველი მსოფლიო ომის ტრაგიზმის აღწერით გერმანიის იმპერიალისტური მისწრაფებები გააკრიტიკა და პატრიოტული პროპაგანდით ნაკვები და ომში სულიერად და ფიზიკურად განადგურებული გერმანელი თაობა დაკარგულ თაობად წარმოაჩინა.
გერმანიაში სწორედ ომგამოვლილ თობათა ხედვამ ჩაუყარა საფუძველი მოვლენათა ახლებურ აღქმასა და პოლიტიკის ახალ პერსპექტივას. ამ პერსპექტივამ განაპირობა შემდგომ ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რაც მსოფლიოსა და დემოკრატიის განვითარებსთვის უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა. ამ პათოსს იზიარებს რემარკის რომანის ხელახალი ეკრანიზაცია, გერმანული ფილმი: *დასავლეთის ფრონტი უცვლელია*, რომელსაც, როგორც საუკეთესო საერთაშორისო ფილმს კინოხელოვნების უმაღლესი ჯილდო მიენიჭა.</td>
</tr>
<tr>
<td rowspan="2"></td>
<td>შეფასება | დადებითი/უარყოფითი</td>
</tr>
<tr>
<td>რეკომენდაციები</td>
</tr>
<tr>
<td>**ია ბურდული**
რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალი: *განათლება* ISSN 2346-8300, DOI:https://doi.org/10.3673/2346-8300, #2(41), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2023 (იბეჭდება) (სტატია გერმანულ ენაზე) - Vielfältige Perspektiven des projektorientierten Lernens Deutsch als Fremdsprache an der Georgischen Technischen Universität.</td>
<td>რამდენიმე უცხური ენის შესწავლა და ცოდნა დღეს ევროკავშირის გამოწვევაა. სასწავლო პრაქტიკაში სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა და უცხო ენების ხარისხზე ორიენტირებული სწავლება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ამჟამინდელი მიზანია. უცხოური ენების შესწავლა პროექტულ სწავლებაზე ორიენტირებით ახალი შესაძლებლობაა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის, განსაკუთრებით ეს გამოიკვეთა ჰიბრიდულ სწავლებაზე ფოკუსირებისას.
პროექტზე ორიენტირებული სწავლებისას, როდესაც მეცადინეობა სწორხაზოვან და ინტეგრირებულ მოდელებს ეყრდნობა, ფსიქოლინგვისტური პროცესები მნიშვნელოვან როლს თამაშობს. პროექტზე ორიენტირებული სწავლებისას პრიორიტეტულია სტუდენტთა ინტერესები: "მე" და "ჩვენ" წინა პლანზეა. როლურ თამაშში სტუდენტს შეუძლია შეასრულოს მოდერატორის ან ხელმძღვანელის როლი. იმიტირებული პროცესების, იმიტირებული ოფისების, ლაბორატორიების, ვორქშოფების, ინტერვიუების, შოუების და სხვადასხვა პროგრამების შექმნით სტუდენტის თეორიული ცოდნა პრაქტიკულ ხასიათს იძენს. სტუდენტები თავად წარმართავენ სასწავლო პროცესს და ამ გზით უყალიბდებათ მათ სოციალური და ქცევითი უნარები, რაც დასავლეთ ევროპის გამოცდილების დემოკრატიულ პრინციპებს ეყრდნობა.</td>
</tr>
<tr>
<td rowspan="2"></td>
<td>შეფასება | დადებითი</td>
</tr>
<tr>
<td>რეკომენდაციები</td>
</tr>
<tr>
<td>**ნანა გამყრელიძე**</td>
<td>ნაშრომში განხილულია ენის ლექსიკურ-გრამატიკულ სისტემაში სიტყვის მეტაფორული, მეორადი ნომინაციის</td>
</tr>
</table>

ფრეიმული აზროვნება და მეტაფორული ნომინაცია. თბ., 2023. შრომათა კრებული „მსოფლიო და კავკასია“. ტექნიკური უნივერსიტეტი	პრობლემა კომპონენტური ანალიზის ჭრილში. ემპირიული მასალის შეპირისპირებით პლანში კომპონენტური ანალიზის საფუძველზე ჩატარებული კვლევის შედეგად დადგენილია არქისემები და დიფერენციალური სქემები.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	
ნუგზარ სიხარულიძე სოციო ფუნქციონალური კლასი და ნეოლოგიზმთა მდგრადობა. თბილისი, სტუ: ჟურნალი „განათლება“ №3(42) 2023წ. ISSN 2346-8300; DOI: https://doi.org/10.10.36073/2346-8300	ენობრივი სისტემის ფუნქციონირებას კომუნიკაციის პეოცესში გააჩნია მკვეთრად გამოხატული სოციალური მხარე. ეს შეიძლება გაერთიანებული იყოს ხუთ სოციოფუნქციონალურ კლასში: სამეცნიერო, საწარმოო, ტექნიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამხედრო. სამეცნიერო სოციოფუნქციონალურ კლასს შეადგენენ ახლად წარმოებული სიტყვები რომლებიც ასახავენ მეცნიერების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე საქმიანობის შედეგებს იქნება ეს მცნებები, ნივთიერებები, ელემენტები, პროცესები თუ სხვა. საწარმოო-ტექნიკურ სოციოფუნქციონალურ კლასს წარმოადგენენ ნეოლოგიზმები რომლებიც დაკავშირებულია ტექნიკური და საწარმოო მოწყობილობის, აპარატურის, დანადგარებისა და ამ სფეროსათვის დამახასიათებელი მრავალი სიახლის შექმნასთან.	
	შეფასება / დადებითი	
	რეკომენდაციები	
ნუგზარ სიხარულიძე თანამედროვე ინგლისური ენის ადრეული პერიოდი და ახალი ლექსიკური ერთეულები. თბილისი, სტუ: ჟურნალი „განათლება“ №4(43) 2023წ. ISSN 2346-8300; DOI: https://doi.org/10.10.36073/2346-8300	ინგლისურმა ენამ, როგორც ცნობილია, გაირა სამი ძირითადი ეტაპი ადრეული, შუა და თანამედროვე, ვიდრე საბოლოო ფორმას მიიღებდა. ამ მხრივ, საინტერსოა იმ ლექსიკური მარაგის ზრდის პროცესის შესწავლა, რომელიც თან ახლდა და ახლავს ენის განვითარებას, მათ შორის მნიშნელოვანი პირადი ღვაწლი, რომელიც ამ პროცესში შეიტანა აღორძინების ეპოქის ერთ-ერთმა უდიდესმა მოღვაწემ უ. შექსპირმა არა მხოლოდ როგორც დიდმა დრამატურგმა და ლიტერატორმა, არამედ თანამედროვე ინგლისურ ენის ახალი ლექსიკური მარაგის შემქმნელმა. როგორც მკვლევრები მიუთითებენ სიტყვათა რაოდენობა მის ნაწარმოებებში 20000 ლექსიკურ ერთეულს ჭარბობს, მათ შორის 1700-ზე მეტი სიტყვა პირველად იქნა ნახსენები ინგლისურ ენაში. ამ სიტყვათა უმეტესობა შექმნილია ან პირველად დანერგილია ინგლისურ ენაში მის მერ, სიტყვათა წარმოების ისეთი მექანიზმების საშუალებით როგორებიცაა სიტყვათა შეთანხმება, კონვერსია, პრეფიქსაცია, სუფიქსაცია და სხვა. ყოველი მათგანი ლინგვისტურის გარდა მოიცავს ექსტრალინგვისტურ ფაქტორს, რაც ზედმიწევნით ასახავს იმ დროისათვის დამახასიათებელ მოვლენებს ქვეყნის განვითარების ყველა სფეროში. მისმა ნაწარმოებებმა ლექსიკური თვალსაზრისით ხელი შეუწყო ენის გატანას და დამკვიდრებას ხალხში რის შედეგადაც ის საყოველთაო კომუნიკაციის საშუალებად იქცა.	
	შეფასება / დადებითი	
	რეკომენდაციები	
ბეჭდური/ელექტრონული პროდუქციის გამოცემა უცხოეთში		
თამარ მებუკე	**დროითი და სივრცითი კოორდინატების როლი ჰიპერტექსტური მხატვრული ნაწარმოებების აგებაში.**	

The Role of Temporal and Spatial Coordinates in Constructing Works of Hypertext Fiction. In: “Spatiality and Temporality” International Conference. London Centre for Interdisciplinary Research. Birkbeck, University of London. 11-12 February 2023. Book of Abstracts p. 12.	ელექტრონული ლიტერატურა, ან ჰიპერტექსტური მხატვრული ლიტერატურა, როგორც ლიტერატურული ნაწარმოებების ახალი მიმართულება, გვიჩვენებს ადამიანის გონების თვითგამოხატვის ახალი გზების მუდმივ ძიებას, რაც თან ახლავს ახალი ტექნოლოგიების შესაძლებლობების გამოკვლევებსა და გამოყენებას იმ მხატვრული ნაწარმოებების შექმნისას, რომლებიც მიეკუთვნება მრავალ საუკუნოვან ლიტერატურულ ჟანრებს. ჰიპერტექსტის სტრუქტურა იძლევა საშუალებას დაუკავშირით და მიიღოთ წვდომა ტექსტის სხვადასხვა ნაწილებზე, რომლებსაც აერთიანებს განსხვავებული ტიპის კავშირები ერთიან ქსელში. ხელმისაწვდომი რაოდენობის ვარიანტებიდან გარკვეული ბმულის არჩევით, მკითხველი აკეთებს ნახტომს დროში და, შესაბამისად, სივრცეში, რაც ცვლის იმას, რასაც მ. ბახტინმა უწოდა ქრონოტოპი - დროის და სივრცის ერთიანობას, რომელიც ასახულია ლიტერატურაში. ქრონოტოპი, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის შემადგენელი ერთეული, აერთიანებს სივრცულ და დროით პარამეტრებს ერთ მთლიანობაში, გარკვეული ნარატიული მოქმედების კოორდინატთა სისტემაში. ეს არის ღერძებისა კვეთა, ან ფონი რომელზედაც ვითარდება მოქმედებები. ჰიპერტექსტის დაკავშირებული სტრუქტურა, ორგანიზებული ფრაგმენტების ქსელებად და მათ შორის კავშირებად, ქმნის ქრონოტოპების „მოზაიკას“, რომელშიც დროის განზომილების ცვლილება იწვევს სივრცის განზომილების ცვლილებას და იწვევს ქრონოტოპების მუდმივ შეცვლას.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	
თამარ მებუკე T.S. Eliot’s Way Out of “The Waste Land.” In: Linguistics and Literature Studies Vol.10(4), pp.66-71. Horizon Research Publishing Corporation. DOI: 10.13189/IIs.2022.100402	**თ.ს. ელიოტის გზა "ბერწი მიწიდან".** ნაშრომი ეძღვნება თ.ს. ელიოტის პოემის „ბერწი მიწა“ გამოცემის ას წლისთავს. ეს პოემა აღნიშნავს მოდერნიზმის დასაწყისს ლიტერატურაში და დღემდე რჩება XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და განხილულ პოემად. პოემაში ელიოტი განიხილავს ადამიანის არსებობის ფუნდამენტურ ღირებულებებს. „დაკარგული სულების“ თაობის მაგალითზე ის აღწერს ცხოვრებისა და ზნეობრივი სტანდარტების დაცემას, ასევე ცდილობს იპოვოს გზა ეგზისტენციალურ პრობლემებთან შერიგების მიზნით არსებული რეალობის შესწავლით, რათა მოხდეს შემდგომი რეინტეგრაცია სიცოცხლის გასაგრძელებლად. რელიგიური გამოცხადებები განიხილება, როგორც მარადიული სიბრძნე, რომელიც არასოდეს ყოფილა დამალული ნებისმიერი კულტურული ტრადიციის მქონე ადამიანისთვის და ის წერტილი, საიდანაც შეიძლება დაიწყოს სულიერი აღორძინება. გამოქვეყნებიდან ერთი საუკუნის შემდეგ პოემას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა იმ ადამიანური მანკიერებების ბუნებაში შეღწევის სიღრმის გამო, რომლებიც ამახინჯებენ ადამიანის არსებობას და იწვევენ ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	

თამარ მებუკე Temporal and Spatial Coordinates in Hypertext Fiction. (დროითი და სივრცითი კოორდინატები ჰიპერტექსტურ მხატვრულ ლიტერატურაში). In: Global Journal of Human Social Sciences: Linguistics & Education, USA. Volume 23, Issue 7, Version 1.0. pp. 21-24. Online ISSN: 2249-460X, Print ISSN: 0975-587X, DOI: 10.17406/GJHSS.	ჰიპერტექსტური მხატვრული ნაწარმოებები წარმოადგენს ახალი მედიის გამოყენების გამომგონებლურ გზას მხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად, რომლებიც მიეკუთვნება საუკუნოვან ლიტერატურულ ჟანრებს, მაგრამ იყენებს ახალ საშუალებებს მათი კომპოზიციისთვის და ასახავს იმ შესაძ-ლებლობების ძიებას, რომელსაც ქსელი იძლევა, ავტორების მიერ, რომლებიც თავად არიან ელექტრონული ლიტერატურისა და ჰიპერტექსტის მხატვრული ლიტერატურის თეორეტი-კოსები, მწერლები და ნოვატორები. ახალი ტექნოლოგიების გამოგონებას ყოველთვის თან ახლავს გამოკვლევები და ახალი ტექნოლოგიების შესაძლებლობების გამოყენება. როგორც ნ.კ. ჰეილსი წერდა (2008: 112), „ჰომო საპიენსის ევოლუცია ტექნოლოგიებთან ერთად განვითარდა.“ მიუხედავად იმისა, რომ ერთი სიუჟეტური და მრავალსიუჟეტიანი ჟანრის ნაწარმოებების შედგენის პრინციპები მსგავსია როგორც ბეჭდური, ისე კომპიუტერით გენერირებული მხატვრული ლიტერატურისთვის, მთავარი განსხვავება ირკვევა კომპოზიციურ განსხვავებაში, რასაც ფორმალისტები განსაზღვრავდნენ, როგორც სიუჟეტსა და მოთხრობას. თუ სიუჟეტი არის მოვლენათა ჯაჭვი მათი ლოგიკური მიზეზობრივი და დროითი თანმიმდევრობით, მოთხრობა არის სიუჟეტის განვითარება, ეს არის გამოსახული მოვლენების პრეზენტაციის თანმიმდევრობა და მოტივაცია. სიუჟეტი გვიჩვენებს, თუ როგორ ვითარდება დროში მოქმედება მისი ხუთი ძირითადი ელემენტის მეშვეობით: ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა, კულმინაცია, და კვანძის გახსნა (შკლოვსკი, 1993; ტომაშევსკი, 1996). ნებისმიერი თხრობითი ნაწარმოები, ელექტრონულ თუ ქაღალდზე დაფუძნებული, შეიძლება იყოს დაყვანილი მის სიუჟეტამდე, მიუხედავად იმისა, თუ როგორ ვითარდება მოქმედება. სწორედ მოთხრობის შედგენის ინოვაციური გზები განასხვავებს ელექტრონულ ლიტერატუ-რას ბეჭდური ტექსტებისგან.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	
სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა (საქართველოში, უცხოეთში)		
ეკა რუსიეშვილი – საერთაშორისო კონგრესი - „მიმდინარე დებატები სოციალურ მეცნიერებებში - CUDES 2023“. მესოპოტამიის ინტერდისციპლინარული კვლევების ჟურნალი მიმდინარე დებატები სოციალურ მეცნიერებებში“ – თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2023. მოხსენება, სტატია: “ინტერნეტ ლინგვისტიკა” – 5გვ. ORCID: 0009-0003-1188-5510	ინტერნეტ ლინგვისტიკის სფერო გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას შეისწავლოთ მუდმივად ცვალებადი ენობრივი შაბლონები და სტილები, რომლებიც ყალიბდება ციფრული სფეროში. ამ დინამიურ საკითხში ჩაღრმავებით, მკვლევარებს შეუძლიათ გახსნან ღირებული შეხედულებები, რომლებსაც შეუძლიათ გააუმჯობესონ ჩვენი გაგება ენის ევოლუციის თანამედროვე ეპოქაში. სოციალურ-ლინგვისტური, საგანმა-ნათლებლო, სტილისტური და გამოყენებითი პერსპექტივები ერთობლივად ქმნიან ურთიერთდაკავშირებულ ქსელს, რომელიც გავლენას ახდენს ენის შესწავლასა და გამოყენებაზე. ინტერნეტის ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას, სასამართლო ლინგვისტიკა გადამ-წყვეტ როლს თამაშობს დამნაშავეების იდენტიფიცირებასა და დაჭერაში.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	

ნინო ბოჭორიშვილი, ნინო ლომსაძე მე-13 საერთაშორისო კვლევითი კონფერენცია განათლების, ენისა და ლიტერატურის საკითხებზე. 2023. თბილისი. საქართველო. IRCELT 2023 ISSN: 2298-0180 e-ISSN: 2587-472. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი; კონფერენცია, მოხსენება, სტატია 5 გვ.	სტატია მიმოიხილავს იმ მნიშვნელოვან გამოწვევებს, რომლებიც განათლების სისტემას შეექმნა პანდემიის დროს და განიხილავს კოვიდ 19-ის პანდემიის პერიოდის ზოგიერთ ასპექტს. დისტანციურმა განათლებამ შეცვალა სინქრონული სწავლა მრავალი სტუდენტისა და მასწავლებლისთვის პანდემიის დროს. თუმცა, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ დარწმუნებულები დისტანციური სწავლების გრძელვადიან ეფექტში და იძლევა თუ არა ის განათლების იგივე მნიშვნელობას, როგორც საკლასო ოთახში პირისპირ სწავლა. დისტანციური სწავლება პრაქტიკაში შედარებით ნაკლებად გამოცდილია. თუმცა შექმნილმა გარემოებებმა და ვითარებამ გვაიძულა სწრაფად გვემოქმედა და საჭირო გახდა ამ მეთოდით სწავლების განხორციელება. თუმცა შედეგები მაინც ბუნდოვანია. შეფასება: დადებითი რეკომენდაციები
ნინო ლომსაძე, ნინო ბოჭორიშვილი „სასწავლო პროცესის მენეჯმენტის ანალიზი კოვიდ-19-ის დროს“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კონფერენცია „მსოფლიო და კავკასია“, თემა: „Analysis of educational process arrangement during COVID-19“. მომხსენებლები. 2023 წ. 14 ივლისი.	დისტანციურმა განათლებამ შეცვალა სწავლების ცნება მრავალი სტუდენტისა და მასწავლებლისთვის პანდემიის დროს. თუმცა, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ დარწმუნებულები დისტანციური სწავლების გრძელვადიან ეფექტურობაში და იმაში უზრუნველყოფს თუ არა ის განათლების იგივე დონეს, როგორც ლექციაზე პირისპირ სწავლებისას. დისტანციური სწავლება პრაქტიკაში შედარებით ნაკლებად გამოიყენებოდა. თუმცა შექმნილმა გარემოებებმა და ვითარებამ გვაიძულა სწრაფად გვემოქმედა და საჭირო გახდა, სწორედ ამ მეთოდით სწავლების განხორციელება. თუმცა შედეგები მაინც ბუნდოვანია. ეს სტატია მიმოიხილავს იმ მნიშვნელოვან გამოწვევებს, რომლებიც განათლების სისტემამ შეექმნა პანდემიის დროს და ასევე განიხილავს პანდემიის დროს არსებულ სწავლების ზოგიერთ ასპექტს. შეფასება: დადებითი რეკომენდაციები
ნანა გამყრელიძე გეშტალტი ინტერკულტურულ კომუნიკაციაში	ნაშრომში განხილულია, ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში, გეშტალტის, სუბიექტის გეშტალტური აზროვნების, ფრეიმისა და ფრეიმული სემანტიკის როლი. ყურადრება გამახვილებულია, კულტურატაშორისი კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციის ეფექტური ტრანსფერის და ადეკვატური დეკოდირების საკითხები. ნებისმიერი ერის კულტურა წარმოადგენს ენობრივი კოლექტივის, თვითრეფლექსიით და გეშტალტური მოცემულობით დეტერმინირებული სიმბოლოების, სტერეოტიპული მოდელების ინფორმაციის გაზიარების პერსპექტივის, გეშტალტურ-კონტექსუალური მოლოდინის და ქცევის ნორმების სისტემურ თლიანობას. აღნიშნული, სრულად ასახავს ერის თვითმყოფადობას, ისტორიას, ტრადიციებს და ღირებულებებს. ინრეკულტურული კომუნიკაციის მიზანი, ადრესატისათვის მკაფიოდ სტრუქტურირებული ცოდნის გაზიარებაა. ეს პროცესი ყოველთვის ორიენტირებულია ენის სემიოტიკურ ასპექტზე და წარმოადგენს ენობრივი კოლექტივის გეშტალტურ აზროვნებაზე ორიენტირებული ვერბალური და არავერბალური კოდების კრებულს. იგი,

	ადრესანტის ინტენციის შესაბამისად, ექსტრა- და ინტრალინგვური ფაქტორების გათვალისწინებით, ადრესატის მიერ უნდა იყოს დეკოდირებული.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	
ნანა გამყრელიძე ფრეიმი და ინტერკულტურული კომუნიკაცია. UG II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველო და კავკასია“ - წარსული, აწმყო, მომავალი. 2023. 7 -8 ოქტომბერი	საზოგადოების განვითარების მანძილზე მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები, ილექება ადამიანთა გამოცდილებაში, მუდმივად რეგულირდება ამ გამოცდილების ფორმალური, სტრუქტურული და ფუნქციური ნიუანსები. აღნიშნული გულისხმობს მის განახლებას და შინაარსობრივად ახლებურ გადააზრებას. კულტურა, ეროვნული თვითრეფლექსიით დეტერმინირებული სიმბოლოები, სტერეოტიპული მოდელები, ინფორმაციის გაზიარების პერსპექტივის, კონტექსტუალური მოლოდინის და ქცევის ნორმების სისტემური მთლიანობაა. იგი სრულად ასახავს ერის თვითმყოფადობას, ისტორიას, ტრადიციას და ღირებულებებს. ინტერკულტურული კომუნიკაციის მიზანია ადრესატისათვის მკაფიოდ სტრუქტურირებული ცოდნის გაზიარება. ეს პროცესი ენის სემიოტიკურ ასპექტზე ორიენტირებული ვერბალური და არავერბალური კოდების კრებულია. იგი ადრესანტის ინტენციის შესაბამისად, ექსტრა - და ინტერლინგვური ფაქტორების გათვალისწინებით ადრესატის მიერ უნდა იყოს დეკოდირებული.	
	შეფასება	დადებითი
	რეკომენდაციები	
კვლევების შედეგების კომერციალიზაციის პოტენციალი		
	ანალიზი	
	შეფასება	დადებითი/უარყოფითი
	რეკომენდაციები	
საექსპერტო მოღვაწეობა		
	ანალიზი	
	შეფასება	დადებითი/უარყოფითი
	რეკომენდაციები	
ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობა		
	ანალიზი	
	შეფასება	დადებითი/უარყოფითი
	რეკომენდაციები	

სამეცნიერო ერთეულში დასაქმებულ მკვლევართა სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებელი ციტირების ინდექსის საფუძველზე (ნოემბერი, 2023)

#	გვარი, სახელი	Scopus		Web of Science		Google Scholar		სხვა	
		ციტ-ის ინდექსი	h ინდექსი	ციტ-ის ინდექსი	h ინდექსი	ციტ-ის ინდექსი	h ინდექსი	ციტ-ის ინდექსი	h ინდექსი
1	პროფ. სიხარულიძე ნუგზარ	0	0			0	0		
2	პროფ. გოცირიძე რუსუდან	0	0			0	0		

3	პროფ. ბერიშვილი მირანდა	0	0			0	0		
4	პროფ. მებუკე თამარ	0	0			3	1		
5	პროფ. სინჯიაშვილი თინათინ	0	0			0	0		
6	პროფ. ცომაია თეა	0	0			0	0		
7	ასოც. პროფ. ბოჭორიშ-ვილი ნინო	0	0			0	0		
8	პროფ. ბურდული ია	0	0			0	0		
9	ასოც. პროფ. გამყრელიძე ნანა	0	0			0	0		
10	პროფ. თაბუკაშვილი რუსუდან	0	0			0	0		
11	ასოც. პროფ. ნარეშელაშვი-ლი ეკატერინე	0	0			0	0		
12	ასოც. პროფ. რუსეიშვილი ეკა	0	0			2	1		
13	ასოც. პროფ. დეკანოზიშ-ვილი ციური	0	0			0	0		
14	ასოც. პროფ. ლომსაძე ნინო	0	0			0	0		
15	ასოც. პროფ. ქათამაძე მარიამ	0	0			0	0		

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი თ. ჯაგოდნიშვილი

დარგობრივი კომისიის მდივანი, პროფესორი გ. ჯოლია